



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.492123915

თარიღი:27/08/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 74

შპს „გეგუთის პოლიკლინიკის“ შენობაში (საკ.კოდი #29.14.37.526) განთავსებული თავისუფალი ფართების, რუიზან სამსონიასათვის (ერთი ოთახი, ფართი 22.12 კვ.მ) და შალვა კილაძისათვის(ერთი ოთახი, ფართი 14.33 კვ.მ) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის

თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 23 აგვისტოს 48-4821235174 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას შპს „გეგუთის პოლიკლინიკის“ შენობაში (საკ.კოდი #29.14.37.526) განთავსებული თავისუფალი ფართების, რუიზან სამსონიასათვის (ერთი ოთახი, ფართი 22.12 კვ.მ) და შალვა კილაძისათვის(ერთი ოთახი, ფართი 14.33 კვ.მ) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს შპს „გეგუთის პოლიკლინიკის“ შენობაში (საკ.კოდი #29.14.37.526) განთავსებული თავისუფალი ფართების, რუიზან სამსონიასათვის (ერთი ოთახი, ფართი 22.12 კვ.მ) და შალვა კილაძისათვის(ერთი ოთახი, ფართი 14.3 კვ.მ) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ.
2. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს შეიტანოს შესაბამისი ცვლილება „მუნიციპალური ქონების უსასყიდლო ეზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ“, 2018 წლის 5 მარტის #2 ხელშეკრულებაში.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, გუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

